წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი

16-31 აგვისტო 2012

მედია მონიტორინგის დროს 16-31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში გამოვლენილი <u>ძირითადი მიგნებები</u>:

- იმედის გარდა ყველა არხზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას.
- მონიტორინგის წინა პერიოდებთან პრეზიდენტის გაშუქების რაოდენობამ შედარებით იკლო.
- ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს ერთ წუთზე მეტი დრო დაეთმო მხოლოდ მაესტროზე, კავკასიაზე და მე-9 არხზე.
- წინა პერიოდებთან შედარებით მოიმატა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქების რაოდენობამ.

- იმედისა და რეალ ტვ-ს გარდა, ყველა არხზე კოალიცია ქართულ ოცნებას პირდაპირი და ირიბი საუბრის საკმაოდ თანაბარი განაწილება აქვს.
- პირველ არხზე მთავრობის გარდა ყველა სუბიექტს, რომელსაც 10 წუთზე მეტი დრო დაეთმო, პირდაპირი საუბრის წილი 54 პროცენტზე მეტი აქვს.
- მაესტროსა და მეცხრე არხის გარდა, ყველა არხზე პრეზიდენტს პირდაპირი საუბრის მინიმუმ 69 პროცენტი აქვს.

- პირველ არხზე, მაესტროზე, კავკასიასა და მეცხრე არხზე კოალიცია ქართულ ოცნებას ნეიტრალური გაშუქების 90 პროცენტზე მეტი აქვს.
- რუსთავი 2-ზე, იმედსა და რეალ ტვ-ზე პრეზიდენტი 60 პროცენტზე მეტი დროის განმავლობაში დადებითი ტონით გაშუქდა.

- რუსთავი 2-ზე, იმედსა და რეალ ტვ-ზე ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი აქვს კოალიცია ქართულ ოცნებას (29%, 32%, 60%).
- მაესტროზე, კავკასიასა და მეცხრე არხზე ერთსა და იმავე სუბიექტების მიმართ გამოვლინდა უარყოფითი ტონის შედარებით მეტი წილი: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, მთავრობა, პრეზიდენტი. თუმცა, კავკასიაზე უარყოფითი ტონის მაჩვენებლები შედარებით დაბალია, მეცხრე არხზე კი - ყველაზე მაღალი.

- ჟურნალისტის ტონში პირველ არხზე ნეიტრალური ტონი ჭარბობს. თუმცა, პრეზიდენტს 16 პროცენტი დადებითი გაშუქება დაუფიქსირდა.
- რუსთავი 2-სა და იმედზე გამოვლინდა პრეზიდენტისადმი მაღალი დადებითი ტონი (50 პროცენტზე მეტი) და კოალიცია ქართული ოცნებისადმი საკმაოდ მაღალი უარყოფითი ტონი (30 პროცენტზე მეტი).
- მეცხრე არხზე ჟურნალისტის ტონი იმეორებს ზოგადი ტონის სურათს და მთავრობას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ადგილობრივ თვითმმართველობასა და პრეზიდენტს საკმაოდ მაღალი უარყოფითი ტონი აქვს.
- რეალ ტვ-ზე ჟურნალისტის ტონის უარყოფითი წილი კოალიცია ქართული ოცნების მიმართ კიდევ უფრო მეტია, ვიდრე საერთო უარყოფითი ტონის წილი.

მეთოდოლოგია და ანალიზი

ტელევიზიების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივში შედის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, პირდაპირი და ირიბი საუბარი და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტები კი არის: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, კადრებით და მუსიკით მანიპულირება.

რაოდენობრივი მონაცემები მოცემულია დიაგრამებზე, რომლებიც ანგარიშს თან ერთვის. დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია მონიტორინგის კონკრეტულ პერიოდში თითოეულ არხზე ყველა სუბიექტისთვის დათმობილი დრო, რაც თითოეული დიაგრამის სათაურშია მითითებული.

თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამ არხზე ამ პარტიას დრო საერთოდ არ დაეთმო. ის პარტიები კი, რომლებსაც რამდენიმე წამი/წუთი მაინც დაეთმო, დიაგრამაზე ნაჩვენებია (ზოგჯერ დროის 0 პროცენტით). თითოეულ არხზე კატეგორია სხვაში გაერთიანებულია ის სუბიექტები (პოლიტიკური პარტიების გარდა), რომლებსაც ამ არხზე დროის 1 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო.

პირდაპირი და ირიბი საუბარი ერთმანეთისგან განასხვავებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი საუბარი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო, რაც დიაგრამებზე მოცემულია სუბიექტების გასწვრივ (სთ:წთ:წმ ფორმატში). ის სუბიექტები, რომლებსაც არხზე ერთ წუთზე ნაკლები დრო დაეთმო, დიაგრამებზე წარმოდგენილი არ არის.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ხდება დათმობილი დროის ტონის შეფასება. ყურადღება ექცევა როგორც ჟურნალისტის ან რესპონდენტის ტექსტს, ასევე სიუჟეტის მთლიან კონტექსტს.

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასება ტონების მიხედვით მოცემულია ორგვარად: მოცემულ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი მთლიანი დროის შეფასება ტონის მიხედვით და ცალკე ჟურნალისტის მიერ სუბიექტების გაშუქების/ხსენების ტონი. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. პირველ შემთხვევაში 100 პროცენტად აღებულია კონკრეტულ არხზე სუბიექტზე საუბრის დრო მთლიანად და ცალკე ჟურნალისტების მიერ ამ სუბიექტზე საუბრის დრო. სუბიექტები, რომლებსაც თითოეულ შემთხვევაში დაეთმო 1 წუთზე ნაკლები, დიაგრამებზე წარმოდგენილი არ არის.

თვისებრივად მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა ბალანსს ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. ასევე სიზუსტეს, რომლის შესაფასებლადაც მონიტორი აკვირდება, თუ რამდენად შესაბამისია ერთმანეთთან ჟურნალისტის დასკვნა და სიუჟეტში გამოყენებული მასალები (კადრები, რესპონდენტების კომენტარები), არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში. ხდება დაკვირვება, რამდენად ეხება სიუჟეტი რაიმე კონკრეტულ ფაქტს და არის თუ არა სიუჟეტში მოყვანილი ამ ფაქტის დამადასტურებელი კადრები/კომენტარები.

მონიტორინგი ყურადრებას აქცევს საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს. ითვლება, რომ მოახდინეს კადრებითა და მუსიკით მანიპულირება მაშინ, როცა სიუჟეტში გამოყენებული კადრები, ფოტოები ისეა წარმოდგენილი და თან დაჰყვება ისეთი მუსიკა, რომელიც გარკვეულ განწყობას ქმნის და იწვევს მკვეთრად დადებით ან უარყოფით ასოციაციებს.

ამ კომპონენტებზე დაყრდნობით წარმოდგენილია 16-31 აგვისტოს პერიოდის საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით.

პირველი არხი

პირველ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო საკმაოდ თანაბრად არის განაწილებული. სუბიექტების გაშუქების ტონი ძირითადად ნეიტრალურია. თუმცა, პრეზიდენტს აქვს დადებითი ტონის 46 პროცენტი, მთავრობას კი - 15 პროცენტი. ნეიტრალური და აღწერილობითი ხასიათისაა პირველ არხზე გასული სიუჟეტების სათაურები. სიუჟეტები უმეტესად ნეიტრალურ შთაბეჭდილებას ტოვებს სიუჟეტში წარმოდგენილი სუბიექტების მიმართ. თუმცა, გვხვდებოდა შემთხვევები, როცა სიუჟეტებიდან საერთო შთაბეჭდილება დადებითისკენ იხრებოდა პრეზიდენტისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მიმართ. დადებითი ზოგადი შთაბეჭდილება ძირითადად გამოწვეულია სუბიექტების პირდაპირი საუბრით და ნაჩვენები კადრებით. სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების

მხრივ, პირველ არხზე სიუჟეტები ძირითადად დაბალანსებულია. რაც შეეხება სიუჟეტში ჟურნალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ფაქტებით გამყარებას, პირველ არხზე სიუჟეტებში ასეთი ფაქტები ყოველთვის მოცემულია.

მონიტორინგის პერიოდში (16-31 აგვისტო) პირველ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, რომელმაც ჯამში შეადგინა 6 საათი და 2 წუთი, საკმაოდ თანაბრად არის განაწილებული. პირველ ადგილას დგას კოალიცია ქართული ოცნება, რომელსაც სუბიექტებისთვის დათმობილი მთლიანი დროის 18 პროცენტი დაეთმო. მომდევნო ექვს სუბიექტს (ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ქრისტიან-დემოკრატებს, პრეზიდენტს, მთავრობას, ახალ მემარჯვენეებსა და ლეიბორისტული პარტიას) კი თითქმის ერთნაირი რაოდენობის დრო დაეთმო (10-12%). დანარჩენ სუბიექტებს დროის 5 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო. (იხ. დიაგრამა Time 1)

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ ამ პერიოდში გადანაწილება ასევე საკმაოდ თანაბარია. იმ სუბიექტებიდან, რომლებსაც 10 წუთზე მეტი დრო დაეთმო, მთავრობის გარდა, არავის აქვს პირდაპირი საუბრის წილი 54 პროცენტზე ნაკლები. მთავრობის პირდაპირი საუბრის მაჩვენებელი 41 პროცენტს შეადგენს. პირდაპირი საუბრის ყველაზე მაღალი პროცენტი აქვს პრეზიდენტს (77%). (იხ. დიაგრამა Speech 1)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონის მიხედვით შეფასებისას გამოვლინდა, რომ პირველ არხზე ყველაზე მეტი დადებითი ტონი აქვს პრეზიდენტს (46%), მთავრობას (15%) და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას (27%). აღსანიშნავია, რომ ამ სამი სუბიექტის გარდა ყველა სუბიექტი დათმობილი დროის მინიმუმ 84 პროცენტის განმავლობაში ნეიტრალური ტონით გაშუქდა. რამდენიმე სუბიექტის შემთხვევაში გამოვლინდა უარყოფითი ტონი, მცირე რაოდენობით - კოალიცია ქართული ოცნება (8%), მთავრობა (8%), პრეზიდენტი (7%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (5%). (იხ. დიაგრამა Tone 1)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონს, უმეტესად ყველა სუბიექტი ნეიტრალური ტონითაა გაშუქებული. მხოლოდ რამდენიმე სუბიექტს აქვს დადებითი ტონი: პრეზიდენტი (16%),

მთავრობა (7%). რაც შეეხება უარყოფით ტონს, მხოლოდ კოალიცია ქართული ოცნების მიმართ გამოვლინდა - 6 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone J1)

მონიტორინგის პერიოდში პირველ არხზე გასული სიუჟეტების სათაურები ნეიტრალური და აღწერილობითი ხასიათისაა.

სიუჟეტებში დროის მიხედვით რომელიმე სუბიექტის საუბარის ან აქტივობის სიჭარბე ნაკლებად შეიმჩნეოდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ იმ სიუჟეტებშიც, სადაც მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა, ძირითადად ორი სუბიექტი, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პრემიერმინისტრი ვანო მერაბიშვილი, ჭარბობდა. მაგალითად, 16 აგვისტოს სიუჟეტში „განახლებული რაბათი", რომელიც სულ 3 წუთსა და 36 წამს გაგრძელდა, 3 წუთისა და 3 წამის განმავლობაში მთლიანად მიხეილ სააკაშვილი გაშუქდა. ასევე, 20 აგვისტოს სიუჟეტში „მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენა" 2:55 წუთიან სიუჟეტში მიხეილ სააკაშვილმა ისაუბრა 2:22 წუთი.
სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ პირველ არხზე სიუჟეტები ძირითადად დაბალანსებულია და სხვადასხვა მოსაზრებაა წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო. ასევე, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში გრძელდება სიუჟეტები, რომელიც გაერთიანებულია რუბრიკაში "საარჩევნო ქრონიკა", სადაც საარჩევნო სუბიექტების კამპანიის ღონისძიებები შუქდება. ამ სიუჟეტების შემთხვევაში რთულია ბალანსზე საუბარი, რადგანაც უმეტესად ეს მოკლე სიუჟეტებია, მხოლოდ ერთი მხარე ან წყაროა წარმოდგენილი და გაშუქებულია ერთი კონკრეტული პარტიის/სუბიექტის წინასაარჩევნო აქტივობა.

მონიტორინგი სიუჟეტებს აკვირდება მთლიანობაშიც და აღრიცხავს სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებას რომელიმე სუბიექტის მიმართ. აღსანიშნავია, რომ პირველ არხზე სიუჟეტები უმეტესად ნეიტრალურ შთაბეჭდილებას ტოვებს სიუჟეტში წარმოდგენილი სუბიექტების მიმართ. თუმცა, მონიტორინგის მთლიანი პერიოდის განმავლობაში გვხვდებოდა შემთხვევები, როცა სიუჟეტებიდან საერთო შთაბეჭდილება დადებითისკენ იქმნებოდა პრეზიდენტისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მიმართ. აქვე საინტერესოა, რომ დადებითი ზოგადი შთაბეჭდილება ძირითადად გამოწვეულია სუბიექტების პირდაპირი საუბრით და ნაჩვენები კადრებით.

მაგალითად, 16 აგვისტოს სიუჟეტში „განახლებული რაბათი” ნაჩვენებია ახალციხეში რაბათის ციხის კომპექსის გახსნა და პრეზიდენტის ვიზიტი. სიუჟეტში საკმაოდ ვრცლად იყო წარმოდგენილი პრეზიდენტის სიტყვა, რომელიც ძალიან დადებით შთაბეჭდილებას ტოვებდა ამჟამიდელი ხელისუფლების მიმართ. პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში „ვეფხისტყაოსნიდან“ რამდენიმე ნაწყვეტი წაიკითხა. ამასთან, მცირე შეცდომა დაუშვა ერთ-ერთი სტროფის თქმისას არაბეთის მეფე როსტევანის შესახებ. საინტერესოა, რომ პირველ არხზე ეს მონაკვეთი ამოჭრილი იყო. პრეზიდენტის სიტყვის პარალელურად ფონად გადიოდა რაბათის ციხისა და შეკრებილი ხალხის კადრები, მათ შორის ხედი ვერტმფრენიდან, რაც კიდევ უფრო ამძაფრებდა დადებით შთაბეჭდილებას. თავად ჟურნალისტის ტექსტი ნეიტრალური იყო. თუმცა, საერთო კონტექსტი მაინც დადებით შთაბეჭდილებას ტოვებდა.

22 აგვისტოს სიუჟეტში „პრეზიდენტი იმერეთში“ ნაჩვენებია პრეზიდენტის ვიზიტი ხონის რაიონის სოფელ გორდში, სადაც იგი საუბრობს ამ უნიკალური კანიონის ტურისტულ ღირსშესანიშნაობად გადაქცევაზე, ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე და მთავრობის სამომავლო გეგმებზე. ნაჩვენებია პროექტის მაკეტის ფოტოები, შეკრებილი ხალხი, მუშებით გარშემორტყმული პრეზიდენტი და კანიონისა და ჩანჩქერის ლამაზი ხედები. ეს კადრები პრეზიდენტის გამოსვლასთან ერთად ძალიან დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს პრეზიდენტზეც და ხელისუფლებაზეც.

მონიტორინგის დროს თითქმის არ დაფიქსირებულა სიუჟეტები, სადაც საერთო შთაბეჭდილება უარყოფითისკენ იხრებოდა რომელიმე სუბიექტის მიმართ. სულ რამდენიმე სიუჟეტში საერთო შთაბეჭდილება იხრებოდა უარყოფითისკენ კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლების მიმართ.

რაც შეეხება სიუჟეტში ჟურნალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ფაქტებით გამყარებას, პირველ არხზე სიუჟეტებში ასეთი ფაქტები თითქმის ყოველთვის მოცემულია.

საარჩევნო კამპანიის ფარგლებში უკვე რამდენიმე თვეა პირველ არხს საინფორმაციო გადაცემაში აქვს პირდაპირი ჩართვა მოწვეულ პოლიტიკოსებთან, ძირითადად ოპოზიციური პარტიებიდან, რომელიც 8-13 წუთს გრძელდება. მონიტორინგის 16-31 აგვისტოს პერიოდში მოცემული ჩართვის სტუმრები იყვნენ: ზვიად ძიძიგური (კოალიცია ქართული ოცნება), ლევან კალანდაძე (ახალი მემარჯვენეები), მაგდა ანიკაშვილი (ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა), გიორგი ვაშაძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), გიორგი გუგავა (ლეიბორისტული პარტია), გურამ ჩახვაძე (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია). მოცემულ ჩართვებში ჩვეულებრივ ერთი სტუმარია წარმოდგენილი და საუბარი პარტიების საარჩევნო პროგრამებს ეხება. ჟურნალისტი უმეტესწილად აცდის სტუმრებს ბოლომდე აზრის გამოთქმას და არ აწყვეტინებს საუბარს. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც ჟურნალისტმა შეაწყვეტინა სტუმარს საუბარი ინფორმაციის ჩაძიების ან დაზუსტების მიზნით და რესპოდენტის მიერ დროის ლიმიტის გადაჭარბების გამო.

რუსთავი 2

მონიტორინგის პერიოდში რუსთავი 2-ზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას - 24 პროცენტი და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას - 20 პროცენტი. პირველ სამეულში შედის ასევე პრეზიდენტი 14 პროცენტით. პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ განაწილება მეტ-ნაკლებად თანაბარია. თუმცა, პრეზიდენტს პირდაპირი საუბრის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს. სიუჟეტები, რომელთა საერთო შთაბეჭდილება დადებითისკენ იხრება, ძირითადად პრეზიდენტსა და მთავრობას ეხება. რაც შეეხება სიუჟეტებს, რომელთა საერთო შთაბეჭდილება უარყოფითისკენ იხრება, ისინი უფრო მეტად ეხება ბიძინა ივანიშვილსა და კოალიცია ქართულ ოცნებას.

მონიტორინგის პერიოდში (16-31 აგვისტო) რუსთავი 2-ზე ყველა სუბიექტს ჯამში 13 საათი და 52 წუთი დაეთმო. ყველაზე მეტი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას - 24 პროცენტი და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას - 20 პროცენტი. პირველ სამეულში შედის ასევე პრეზიდენტი 14 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ აგვისტოს მეორე ნახევარში რუსთავი

2-ზე საინფორმაციო გადაცემის მიმდინარეობისას გაკეთდა პირდაპირი ჩართვები, ზოგჯერ დებატების ფორმატით, სადაც პოლიტიკური ფიგურები არიან წარმოდგენილი. ეს ჩართვები ზოგჯერ 6-წუთიანია, ზოგჯერ კი 42 წუთსაც შეიძლება გაგრძელდეს, შესაბამისად, საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს რაოდენობრივ მონაცემებზე.[1] (იხ. დიაგრამა Time 2)

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ განაწილება მეტ-ნაკლებად თანაბარია. კოალიცია ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, რომლებსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო, პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი შედარებით თანაბრად გადაუნაწილდა (კოალიცია - 48% პირდაპირი; ნაციონალური მოძრაობა - 57% პირდაპირი). პრეზიდენტს აქვს პირდაპირი საუბრის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი - 73 პროცენტი. დანარჩენი სუბიექტებიდან, რომლებსაც 20 წუთზე მეტი დრო დაეთმო, ყველაზე მეტი პირდაპირი საუბრის წილი აქვს ლეიბორისტულ პარტიას (77%), ყველაზე ნაკლები კი - მთავრობას (42%). (იხ. დიაგრამა Speech 2)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებას რაც შეეხება, პრეზიდენტს აქვს დადებითი გაშუქების ყველაზე მაღალი წილი (71 პროცენტი, 1 საათი და 55 წუთიდან). სხვა სუბიექტების მიმართაც გამოვლინდა დადებითი ტონი: ლეიბორისტული პარტია (30% - 48 წუთიდან), მთავრობა (21% - 1 საათი და 34 წუთიდან) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (13% - 3 საათი და 5 წუთიდან), რომელსაც უარყოფითი ტონის მსგავსი მაჩვენებელი აქვს - 10 პროცენტი. ყველაზე დიდი უარყოფითი ტონი დაფიქსირდა კოალიცია ქართული ოცნების მიმართ, რომელსაც ამ არხზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო (29 პროცენტი 3 საათი და 46 წუთიდან). (იხ. დიაგრამა Tone 2)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, ყველაზე მეტი დადებითი ტონი დაფიქსირდა პრეზიდენტისა (59% დაახლოებით 22 წუთიდან) და მთავრობის (25% დაახლოებით 31 წუთიდან) მიმართ. რაც შეეხება უარყოფით ტონს, ყველაზე დიდი მაჩვენებელი გამოვლინდა კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში - 32 პროცენტი თითქმის ერთი საათიდან. (იხ. დიაგრამა Tone J2)

[1] დეტალური ინფორმაცია მონიტორინგის პერიოდში პირდაპირი ჩართვებისა და მათში მონაწილე სტუმრების შესახებ მოცემულია არხის თვისებრივი ანალიზის ნაწილში.

მონიტორინგის პერიოდში რუსთავი 2-ზე გასული სიუჟეტების სათაურები უმეტესად ინფორმაციული და ნეიტრალურია.

სიუჟეტებში დროის მიხედვით რომელიმე სუბიექტის საუბრის ან აქტივობის სიჭარბე ნაკლებად შეიმჩნეოდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ იმ სიუჟეტებში, სადაც მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა, ძირითადად პრეზიდენტისა და მთავრობის წარმომადგენლების საუბარი და აქტივობა ჭარბობდა. მაგალითად, 16 აგვისტოს სიუჟეტში „განახლებული რაბათი" 17 წუთიდან 9 წუთი დაეთმო პრეზიდენტის საუბარს. ასევე, 18 აგვისტოს სიუჟეტში „ახალი სასტუმრო პიაცაზე" 383 წამიდან 238 წამი მიხეილ სააკაშვილმა ისაუბრა.

რუსთავი 2-ზე მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სიუჟეტები, რომელთა საერთო შთაბეჭდილება დადებითისკენ იხრება, ეხება უმეტესად პრეზიდენტს, პრემიერმინისტრს, მთავრობას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და სულ რამდენიმე შემთხვევაში ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას. აქვე აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის შესახებ სიუჟეტებში ხშირადაა ნაჩვენები ტაში, სკანდირება, რაც დადებით ფონს ქმნის. ასევე ზოგჯერ გამოყენებულია პოზიტიური მუსიკა იმ კადრებთან, რაც ამჟამინდელი ხელისუფლების მიღწევებს უსვამს ხაზს. რაც შეეხება სიუჟეტებს, რომელთა საერთო შთაბეჭდილება უარყოფითისკენ იხრება, ისინი ძირითადად ეხება ბიძინა ივანიშვილსა და კოალიცია ქართულ ოცნებას. ამ შემთხვევაში კი ხშირია არქივიდან სხვადასხვა უარყოფითი კადრების ჩვენება და ამით მანიპულირება.

მაგალითად, 16 აგვისტოს სიუჟეტში „რაბათი გაიხსნა" აღწერილია რაბათის ციხის საზეიმო გახსნა და პრეზიდენტის მონაწილეობა ამ ღონისძიებაში. სიუჟეტის დასაწყისში უხვადაა ციხის კადრები სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის, ვერტმფრენიდან გადაღებული მასალა, რასაც პოზიტიური მუსიკაც გასდევს ფონად და დასაწყისშივე დადებით კონტექსტს ქმნის. სიუჟეტში ასევე ნაჩვენებია პრეზიდენტის მისვლა ციხეში, სადაც შეკრებილია მოსახლეობა, რომელიც თბილად ეგებება პრეზიდენტს. ეს უკანასკნელიც ხელს ართმევს და კოცნის ხალხს, მათ შორის ბავშვებს. შემდეგ სააკაშვილი სიტყვით გამოდის ხალხის წინაშე. საუბრობს ციხის ისტორიულ და ტურისტულ მნიშვნელობაზე, ხელისუფლების ძველ და ახალ პროექტებზე

და კითხულობს სტროფებს „ვეფხისტყაოსნიდან“. პირველი არხის მსგავსად როსტევანის შესახებ ნათქვამი სტროფი, რომელშიც პრეზიდენტმა შეცდომა დაუშვა, ამოჭრილია.

28 აგვისტოს სიუჟეტი „ქუთაისის ახალი აეროპორტი” მოგვითხრობს ქუთაისის აეროპორტის გახსნის შესახებ. სიუჟეტის დასაწყისში ჟურნალისტის ტექსტი დადებით კონტექსტს ქმნის, რადგან აქებს ქუთაისის აეროპორტს. შემდეგ კი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ნაჩვენებია პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელიც მართავს პატარა თვითმფრინავს და პარალელურად საუბრობს აეროპორტის უპირატესობებზე და მთავრობის სამომავლო გეგმებზე. აეროპორტში თვითმფრინავით დაჯდომისას პრეზიდენტს ხვდება ხალხი, რომელთა წინაშეც იგი სიტყვით გამოდის. მთლიანობაში სიუჟეტი დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს პრეზიდენტზე.

22 აგვისტოს სიუჟეტში ”სტიქიის შედეგები კახეთში” დადებითადაა წარმოჩენილი ვანო მერაბიშვილი. ხალხი სკანდირებს და ადგილობრივი მოსახლეობა დადებით კომენტარებს აკეთებს. ამავე გამოშვების სიუჟეტში „სამხედრო ქალაქის ახალი მობინადრეები” დადებითადაა წარმოდგენილი თავდაცვის სამინისტრო, რომელიც ბინებს გადასცემს სამხედრო პირებს.

რაც შეეხება ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას, აგვისტოს მეორე ნახევარში რუსთავი 2-ზე მნიშვნელოვნად შემცირდა დადებითი საერთო შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტები მათზე. მხოლოდ ერთი სიუჟეტი იყო, რომელიც გამოკვეთილად დადებით შთაბეჭდილებას ტოვებდა ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაზე. მართალია, ჟურნალისტი ნეიტრალურად საუბრობდა პარტიაზე 28 აგვისტოს სიუჟეტში „ქრისტიან-დემოკრატების შეხვედრები”, მაგრამ ნაჩვენები კადრები დადებით შთაბეჭდილებას ტოვებდა მათზე.

საინტერესოა, რომ რუსთავი 2-ზე მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გასული უარყოფითი სიუჟეტები უმეტესად კოალიცია ქართულ ოცნებას ეხებოდა. მაგალითად, 16 აგვისტოს სიუჟეტი „ივანიშვილის კანდიდატები”[2] აგებულია იმ მოსაზრებაზე, რომ კოალიცია ქართულ ოცნებას აჭარაში ასლან აბაშიძის რეჟიმის ნოსტალგია აქვს. სიუჟეტს ჟურნალისტი შემდეგი

[2] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=oGBby0UFDnY&feature=youtu.be

სიტყვებით წარადგენს: „ივანიშვილის ფავორიტებს შორის კვლავ ასლან აბაშიძის მთავრობის ყოფილი წევრები მოხვდნენ. ნოსტალგია ძველ რეჟიმზე კოალიციის ბათუმურ შეხვედრაში ისევ აქტუალურია“. სიუჟეტში ნაჩვენებია ივანიშვილის მიერ მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენა აჭარაში, სადაც იგი მათ ბიოგრაფიებს აღწერს. სიუჟეტი ხაზს უსვამს, რომ კანდიდატების წარსული უკავშირდება ასლან აბაშიძეს და მის რეჟიმს. ასევე მოყვანილია ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატის მურმან დუმბაძის ინტერვიუ გაზეთიდან, სადაც იგი აბაშიძის რეჟიმისთვის ბოდიშის მოხდის საჭიროებაზე საუბრობს, რასაც მოსდევს ჩოლოქის ხიდის აფეთქებისა და შეიარაღებული ნიღბოსნების კადრები.

20 აგვისტოს სიუჟეტში „ივანიშვილი-ბურჯანაძის შეხვედრა” უარყოფითი შთაბეჭდილება იქმნება ბიძინა ივანიშვილისა და ნინო ბურჯანაძის მიმართ. სიუჟეტი ხაზს უსვამს ივანიშვილის კავშირს და შესაძლო თანამშრომლობას ბურჯანაძესთან. წარმოდგენილია ივანიშვილის ინტერვიუები, სადაც იგი დადებითად საუბრობს ნინო ბურჯანაძეზე და მის პოლიტიკურ გამოცდილებაზე. ასევე აღნიშნულია ბურჯანაძისა და პრეზიდენტ პუტინის კავშირი, რაც, სიუჟეტიდან გამომდინარე, არაპირდაპირ ივანიშვილის რუსეთთან შესაძლო კავშირზე მიუთითებს. ნაჩვენებია კადრები არქივიდან, სადაც ბურჯანაძე პუტინის გვერდით დგას. ასევე კადრები ქუჩის აქციებიდან, სადაც ნინო ბურჯანაძე სიმღერა „ბელა-ჩაოს” ღიღინებს.

22 აგვისტოს სიუჟეტი „ედუარდ შევარდნაძის ინტერვიუ”[3] ხაზს უსვამს ედუარდ შევარდნაძისა და ბიძინა ივანიშვილის მოსაზრებების თანხვედრას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ერგნეთის ბაზრობის აღდგენა და პოლიტიკური გუნდის ერთი და იგივე ადამიანებით დაკომპლექტება. ნაჩვენებია შევარდნაძის ინტერვიუ. სიუჟეტში ჩამოთვლილია შევარდნაძის დროს მოღვაწე მაღალჩინოსნები, რომლებიც დღეს კოალიცია ქართული ოცნების წევრები არიან. ამას ამყარებს კადრები არქივიდან, სადაც ზოგჯერ უბრალოდ ნაჩვენებია ეს ადამიანები შევარდნაძის გვერდით, ზოგჯერ კი - ნაჩვენებია უარყოფითი კადრები მათი მოღვაწეობის შესახებ.

[3] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=Oy9GnSKbecI&feature=youtu.be

სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებასთან, კადრებთან და რესპონდენტების კომენტარებთან ერთად ზოგჯერ ჟურნალისტების ტექსტიც ქმნის დადებით ან უარყოფით ფონს. მაგალითები:

- ჟურნალისტი: „რა ტრანსპორტით გადაადგილდება ბატონი ოთარ ხუფენია უმნიშვნელოა დღეს, რადგან მის სახელთან გაუცემელი პენსიები და მკვდარი სულები ასოცირდება." (18 აგვისტოს სიუჟეტი „ძველი სახეები")
- ჟურნალისტი: „ეკონომიკური გუნდი, რომელიც უკვე მართავდა საქართველოს ჩვენი ქვეყნის ყველაზე მძიმე და კორუმპირებულ ისტორიაში, დღეს ბიძინა ივანიშვილის ფავორიტია და ქართული ოცნების ეკონომიკური პლატფორმის სათავეში დგანან." (18 აგგვისტოს სიუჟეტი „ძველი სახეები")

რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის ნათქვამსა და სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების კომენტარებსა და ვიზუალურ მასალას შორის, ასეთი შემთხვევები იშვიათია და სიუჟეტში წარმოდგენილი ინფორმაცია უმეტესად გამყარებულია ნაჩვენები მასალით.

რაც შეეხება სიუჟეტებში სხვადასხვა მხარისა და მოსაზრების წარმოჩენას, მონიტორინგის პერიოდში სიუჟეტები უმეტესად დაბალანსებულია. თუმცა, კოალიცია ქართული ოცნების შესახებ სიუჟეტბში შეინიშნება კოალიციის წევრების კომენტარების სიმცირე.

აგვისტოს მეორე ნახევრიდან რუსთავი 2-მა საინფორმაციო გადაცემაში დაიწყო პირდაპირი ჩართვების გაკეთება, სადაც იწვევენ ერთ ან რამდენიმე პოლიტიკოსს. ასეთ ჩართვებს საკმაოდ დიდი დრო ეთმობა, ზოგჯერ 42 წუთიც კი. ასეთი პირდაპირი ჩართვები ხან საინფორმაციო გამოშვების შუაშია მოქცეული, ხან - ბოლოში. ზოგჯერ ეს ჩართვები დებატების ხასიათს ატარებს. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში რუსთავი 2-ზე მთლიანობაში 9 ასეთი პირდაპირი ჩართვა მოხდა და წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი სტუმრები: ლევან ვეფხვაძე (ქდმ), აკაკი მინაშვილი (ნაციონალური მოძრაობა), ზვიად ძიძიგური (კოალიცია ქართული ოცნება), შალვა ნათელაშვილი (ლეიბორისტები), ზურაბ ხარატიშვილი (ცესკო), თინა ხიდაშელი (კოალიცია ქართული ოცნება), გოკა გაბაშვილი (ნაციონალური მოძრაობა), დავით გამყრელიძე (ახალი მემარჯვენეები), ინგა გრიგოლია (ქდმ), ჩიორა თაქთაქიშვილი (ნაციონალური მოძრაობა), ეკა ბესელია (კოალიცია ქართული

ოცნება), მამუკა კაციტაძე (სია/ახალი მემარჯვენეები), ფიქრია ჩიხრაძე (ახალი მემარჯვენეები), პეტრე ცისკარიშვილი (ნაციონალური მოძრაობა) და თეა წულუკიანი (ქართული ოცნება).

პირდაპირი ჩართვების დროს ჟურნალისტი უმეტესად აცდიდა სტუმრებს აზრის გამოთქმას და მხოლოდ მაშინ აწყვეტინებდა, როცა დამატებითი კითხვის დასმა სურდა ან თემიდან გადახვევასა და დროის გადაჭარბებას ჰქონდა ადგილი. ჟურნალისტის შეკითხვები სტუმრებისადმი ძირითად შემთხვევაში მომთხოვნი იყო. თუმცა, ოთხი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც ჟურნალისტი მეტ ლმობიერებას იჩენდა ზოგი სტუმრისადმი და ნაკლებ ოპონირებას უწევდა მათ. მაგალითად, 16 აგვისტოს ჩართვაში ჟურნალისტი ზვიად ძიძიგურთან კითხვით გადასვლისას წინა გამომსვლელების მწვავე ნათქვამს იმეორებს და სთხოვს მას პასუხის გაცემას. თუმცა, ძიძიგურის ასევე საკმაოდ მწვავე პასუხებისა და ბრალდებების შემდეგ აკაკი მინაშვილს გასული რვა წლის განმავლობაში ქვეყანაში განხორციელებულ ცვლილებებზე ეკითხება.

იმედი

მონიტორინგის პერიოდში იმედზე, ყველა სხვა არხისგან განსხვავებით, ყველაზე მეტი დრო დაეთმო პრეზიდენტს. თუმცა, პირველ ოთხეულში მოხვედრილი სუბიექტების პროცენტულ მაჩვენებლებს შორის დიდი განსხვავება არ არის. პრეზიდენტს პირდაპირი საუბრის წილის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი პროცენტი აქვს. სიუჟეტებს ხშირად ჰქონდა არანეიტრალური სათაურები. დადებითი სიუჟეტები ძირითადად პრეზიდენტზე და მთავრობაზეა, ასევე ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაზე, ხოლო უარყოფითი სიუჟეტები - უმეტესად ბიძინა ივანიშვილზე, კოალიცია ქართულ ოცნებაზე და ნინო ბურჯანაძეზე. სიუჟეტები მათში წარმოდგენილი რესპონდენტების მიხედვით მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. დაუბალანსებელ სიუჟეტებში ძირითადად იგრძნობა კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლების კომენტარების საჭიროება. რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში წარმოდგენილ ფაქტებს შორის, მონიტორინგის პერიოდში ასეთი

შემთხვევები გამოვლინდა. სიუჟეტებში ადგილი ჰქონდა კადრებითა და მუსიკით მანიპულაციას.

იმედზე მონიტორინგის პერიოდში იმედზე სუბიექტებს ჯამში 10 საათი და 37 წუთი დაეთმო. განსხვავებით ყველა სხვა არხისგან იმედზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო პრეზიდენტს - 20 პროცენტი. თუმცა, დათმობილი დროის მიხედვით პირველ ოთხეულში მოხვედრილი სუბიექტების პროცენტულ მაჩვენებლებს შორის დიდი განსხვავება არ არის: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (19%), კოალიცია ქართული ოცნება (17%), ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა (16%). (იხ. დიაგრამა Time 3)

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ დათმობილი დროის მიხედვით (2 საათი და 8 წუთი) პირველ ადგილას მყოფ პრეზიდენტს პირდაპირი საუბრის წილის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი, 78 პროცენტი აქვს. ამაზე მეტი პირდაპირი საუბრის წილი მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ გამოვლინდა - 81 პროცენტი, თუმცა, ამ სუბიექტის გაშუქებას მხოლოდ 15 წუთი დაეთმო. დანარჩენი სუბიექტებიდან უმეტესობას პირდაპირი საუბრის მინიმუმ 57 პროცენტი წილი აქვს, გარდა კოალიცია ქართული ოცნებისა (36% - 1 საათი 48 წუთიდან) და მთავრობისა (37% - 69 წუთიდან). (იხ. დიაგრამა Speech 3)

რაც შეეხება ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილებას, რამდენიმე სუბიექტთან მიმართებაში გამოვლინდა საკმაოდ დიდი დადებითი გაშუქების წილი. ესენია: პრეზიდენტი (76% - 2 საათი და 12 წუთიდან), ადგილობრივი თვითმმართველობა (46% დაახლოებით 15 წუთიდან), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (28% - 2 საათი და 27 წუთიდან), მთავრობა (22% - 1 საათი და 12 წუთიდან) და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა (18% - 2 საათი და 2 წუთიდან). უარყოფითი ტონის მხრივ, სხვა სუბიექტებთან შედარებით ყველაზე მაღალი პროცენტი გამოვლინდა კოალიცია ქართული ოცნებისა (32% - 2 საათი და 3 წუთიდან) და დემოკრატიული მოძრაობის მიმართ (63% დაახლოებით 10 წუთიდან). (იხ. დიაგრამა Tone 3)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, საერთო ტონის ტენდენცია მეორდება. ყველაზე მეტი დადებითი ტონით გაშუქება დაუფიქსირდა პრეზიდენტს (52% დაახლოებით 21 წუთიდან), მთავრობას (20% დაახლოებით 30 წუთიდან), ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (19% დაახლოებით 38 წუთიდან) და ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას (7% დაახლოებით 36 წუთიდან). უარყოფითი ტონის შესამჩნევად მაღალი მაჩვენებელი აქვს კოალიცია ქართულ ოცნებას (37% დაახლოებით 49 წუთიდან) და დემოკრატიულ მოძრაობას (68% დაახლოებით 6 წუთიდან), რაც საერთო ტონში ამ სუბიექტების მიმართ გამოვლენილი უარყოფითი ტონის წილს აღემატება. (იხ. დიაგრამა Tone J3).

მონიტორინგის პერიოდში იმედზე გასულ სიუჟეტებს ხშირად ჰქონდა არანეიტრალური სათაურები. უარყოფითი სათაურის მქონე სიუჟეტები უმეტესად კოალიცია ქართულ ოცნებას ეხებოდა. მაგალითად, „ოცნების თეთრი კარავი: შეხვედრა წარსულთან" (16 აგვისტო), „ოცნება და ნარკომომხმარებლები: შსს-ს ვიდეომასალა" (16 აგვისტო), „ივანიშვილის დაწუნებული მაჟორიტარები?! დაიშლება თუ არა ოცნების აჭარის რეგიონული ორგანიზაცია?" (16 აგვისტო), „ოცნება და ნარკომომხმარებლები - არა ნარკომანიას" (16 აგვისტო), „ნინო და ბიძინა: საოცნებო შეხვედრა" (20 აგვისტო), „ნინო და ბიძინა: ჩანთა - ანალოგი წარსულთან" (20 აგვისტო), „ნინო და ბიძინა: საოცნებო შეხვედრა - რა ხდება ივანიშვილის კოალიციაში?" (20 აგვისტო), „ოცნება დებატებზე უარს ამბობს: რა უნდა ივანიშვილს?" (21 აგვისტო), „ნინო და ბიძინა: კრემლის პროექტი? ექსპერტთა შეფასებები" (22 აგვისტო), „ბეგო ივანიშვილი და კანონიერი ქურდის ძმა" (27 აგვისტო), „ივანიშვილის საოცნებო გუნდი - უკან წარსულში?" (27 აგვისტო), „ივანიშვილი და უბინაო ამხანაგობა: მითვისებული 450 ათასი მანეთი" (28 აგვისტო).

იმედის შემთხვევაშიც სიუჟეტებში დროის მიხედვით რომელიმე სუბიექტის საუბარის ან აქტივობის სიჭარბე ნაკლებად შეიმჩნეოდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ იმ სიუჟეტებშიც, სადაც მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა, ძირითადად, პრეზიდენტი დომინირებდა. მაგალითად, 16 აგვისტოს სიუჟეტში „განახლებული რაბათი", რომელიც 990 წამს გაგრძელდა, 581 წამი მიხეილ სააკაშვილის საუბარს დაეთმო. ასევე 25 აგვისტოს სიუჟეტი „პრეზიდენტი

ბათუმში: შეხვედრა სტუდენტებთან" 10 წუთსა და 56 წამს გაგრძელდა და აქედან 10 წუთი და 20 წამი პრეზიდენტს დაეთმო.

მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ დადებითი სიუჟეტები ძირითადად პრეზიდენტზე, მთავრობაზე, ნაციონალურ მოძრაობასა და ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაზეა, ხოლო უარყოფითი სიუჟეტები - უმეტესად კოალიცია ქართულ ოცნებაზე და რამდენიმე შემთხვევაში ნინო ბურჯანაძეზე. აღსანიშნავია, რომ ეს ტენდენცია მონიტორინგის დასაწყისშივე გამოიკვეთა და მომდევნო ოთხი თვის განმავლობაში არ შეცვლილა. პირიქით, არჩევნებთან მიახლოებასთან ერთად ეს ტენდენცია კიდევ უფრო გამძაფრდა.

მაგალითად, 16 აგვისტოს სიუჟეტში „განახლებული რაბათი", რომელიც 17 წუთისა და 30 წამის განმავლობაში გაგრძელდა პირდაპირ ეთერშია ნაჩვენები ახალციხეში რაბათის ციხის გახსნა და პრეზიდენტ სააკაშვილის ვიზიტი. ძალიან დიდი დრო ეთმობა სააკაშვილის შემოსვლისა და მოსახლეობასთან შეხვედრის კადრების ჩვენებას. აღსანიშნავია, რომ პირველი არხისა და რუსთავი 2-ისგან განსხვავებით მიხეილ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლა სრულად აჩვენეს (გადმოცემა პირდაპირ ეთერში იყო), მათ შორის, პრეზიდენტის შეცდომით ნათქვამი „ვეფხისტყაოსნის" სტროფებიც. ამის მიუხედავად, სიუჟეტის საერთო შთაბეჭდილება მკვეთრად დადებითი იყო პრეზიდენტისა და ამჟამინდელი სახელისუფლებო გუნდის მიმართ.

21 აგვისტოს სიუჟეტში „პრეზიდენტი კახეთში: სააკაშვილმა სტიქიით დაზარალებული სოფლები მოინახულა" პრეზიდენტი კვლავაც დადებით კონტექსტშია წარმოდგენილი. ნაჩვენებია ხალხი, რომელიც ლოცავს და აქებს პრეზიდენტს, ხოლო სააკაშვილი კი თბილად ეგებება მათ.

28 აგვისტოს სიუჟეტში „ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი: პირველი ლაინერი უმაღლესი სტანდარტების ასაფრენ ბილიკზე" ნაჩვენებია როგორ მართავს თვითმფრინავს პრეზიდენტი, რომელიც მოსახლეობას ესაუბრება ქუთაისის აეროპორტის მშენებლობაზე და

სხვა სამომავლო პროექტებზე. ეს ყოველივე კი დადებით შთაბეჭდილებას უტოვებს მაყურებელს პრეზიდენტზე.

აგვისტოს მეორე ნახევარში იმედის ყოველ საინფორმაციო გამოშვებაში სულ მცირე თითო სიუჟეტი მაინც ეძღვნებოდა ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას და მათ საარჩევნო პროგრამას - „სამართლიანი ტარიფები ხალხს“. შესაბამისად, დაფიქსირდა ისეთი სიუჟეტები, რომლებიც დადებით შთაბეჭდილებას ქმნიდა ქრისტიან-დემორკატიულ მოძრაობაზე. მაგალითად, 17 აგვისტოს სიუჟტი „ქდმ სამართლიანი ტარიფები ხალხს: წინასაარჩევნო კამპანია შეხვედრა მოსახლეობასთან”, სადაც დადებით კონტექსტშია ნაჩვენები გიორგი თარგამაძე, რომელიც თავად რეცხავს მანქანას და რესპოდენტებიც დადებითად საუბრობდნენ მასზე.

ქრონიკაში მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გასული უარყოფითი სიუჟეტები უმეტესად კოალიცია ქართულ ოცნებას და მის წევრებს, ბიძინა ივანიშვილსა და ნინო ბურჯანაძეს ეხებოდა. მაგალითად, 20 აგვისტოს გამოშვების პირველი სამი სიუჟეტი ეხებოდა ბურჯანაძესა და ივანიშვილს, სადაც ორივე უარყოფით კონტექსტში იყო წარმოჩენილი. პირველ სიუჟეტში „ნინო და ბიძინა: „საოცნებო შეხვედრა“ საუბარია ივანიშვილისა და ბურჯანაძის შეხვედრაზე და მათ შორის შესაძლო თანამშრომლობაზე. სიუჟეტი ხაზს უსვამს ბურჯანაძის კავშირს რუსეთთან და მას პუტინის „ღია ფავორიტად“ წარმოაჩენს. ამის დასტურად რამდენჯერმე ნაჩვენებია კადრები არქივიდან, სადაც ბურჯანაძე პუტინს ხვდება; ასევე კადრები ქუჩის აქციებიდან, სადაც ბურჯანაძე „ბელა ჩაოს“ სიმღერას ღიღინებს. ბურჯანაძის რუსეთთან დაკავშირებით არაპირდაპირ სიუჟეტი მინიშნებას აკეთებს ივანიშვილის შესაძლო კავშირზე რუსეთთან, რასაც სიუჟეტში წარმოდგენილი ექსპერტების კომენტარებიც ამყარებს.

მომდევნო სიუჟეტი „ნინო და ბიძინა: ჩანთა - ანალოგი წარსულთან“[4] იწყება ჟურნალისტის წარდგენით: „როგორც გაირკვა, ნინო ბურჯანაძე და ბიძინა ივანიშვილი ერთმანეთს მანამდეც შეხვედრიან. თუმცა, ამჯერად საოცნებო შეხვედრა ყოველგვარი კონსპირაციის გარეშე, ღიად შედგა. ვლადიმერ პუტინთან სამრაუნდიანი აუდიენციისა და ბელა-ჩაოს

[4] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=7-Fyv4slBGE&feature=youtu.be

წარუმატებელი აქციების შემდეგ სახალხო კრების თავმჯდომარე ქართული ოცნების ლიდერის კარზე უკვე ოფიციალურად მიიღეს“. სიუჟეტი ისევ ბურჯანაძის, პუტინისა და ივანიშვილის გარშემო ტრიალებს. კადრებითა და მუსიკის მანიპულირებით ძალიან ირონიულადაა ნაჩვენები ბურჯანაძის ჩანთა მისი ოფიციალური შეხვედრების დროს, რასაც ჟურნალისტის უარყოფითი ტექსტები ახლავს თან. ბურჯანაძის მკვეთრად უარყოფითად წარმოდგენის პარალელურად ჟურნალისტი და რამდენჯერმე გამეორებული კადრები ხაზს უსვამენ მის შესაძლო თანამშრომლობას ივანიშვილთან. ამრიგად, სიუჟეტი ორივე მათგანზე უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს. ქვემოთ მოცემულია ერთ-ერთი კადრი სიუჟეტიდან, რომელიც რამდენჯერმე განმეორდა.

მესამე სიუჟეტი „ნინო და ბიძინა: საოცნება შეხვედრა - რა ხდება ივანიშვილის კოალიციაში“ ეხება კოალიციის წევრების შეხედულებას ბურჯანაძე-ივანიშვილის შეხვედრაზე. იმის შედეგად, რომ კოალიციის სხვადასხვა წევრები განსხვავებულ კომენტარს აკეთებენ, საერთო შთაბეჭდილება უარყოფითი რჩება კოალიციის შესახებ.

სიუჟეტები მათში წარმოდგენილი რესპონდენტების მიხედვით მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, მონიტორინგის ამ პერიოდში ჭარბობს ისეთი სიუჟეტები, რომელთა შეფასება ბალანსის მხრივ რთულია. შედარებით მცირე რაოდენობითაა

წარმოდგენილი დაუბალანსებელი სიუჟეტები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მათი უმეტესობა ეხება კოალიცია ქართულ ოცნებას.

მონიტორინგის ამ პერიოდში ასევე ადგილი ჰქონდა შეუსაბამობას ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში წარმოდგენილ ფაქტებს შორის. მაგალითად, 17 აგვისტოს სიუჟეტში „ძაგანიას განცხადება: ლეიბორისტები „ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატებზე“ ჟურნალისტი ამბობს, რომ „ლეიბორისტები ქართულ ოცნებას ანტიეროვნულობაში ადანაშაულებენ. ამჯერად შალვა ნათელაშვილის პარტია კრიტიკის ქარ-ცეცხლში ქართული ოცნების თბილისის მაჟორიტარები გაატარა და მათ კრიმინალური წარსულის მქონე პოლიტიკოსები უწოდა“. ამას მოსდევს ძაგანიას განცხადება, სადაც ის საუბრობს „ნაცური ოცნების“ მაჟორიტარების კანდიდატებზე. ტერმინი „ნაცური ოცნება“ ნაციონალურ მოძრაობაზეც მიანიშნებს. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ძაგანიას განცხადების შემდეგ ნაწილს: „ამერიკელი ბოსების მითითებით ეს ძალები საარჩევნოდ გაიყვნენ იმისთვის, რომ პარლამენტში კვლავ შეერთდნენ და გააგრძელონ ამ ქვეყნის უღმერთოდ ძარცვა და ნგრევა“. შესაბამისად, ჟურნალისტის მიერ სიუჟეტის დასაწყისში მხოლოდ ქართულ ოცნებაზე გაკეთებული შეჯამება სრულად არ შეესაბამება წარმოდგენილ განცხადებას.

აგვისტოს მეორე ნახევარში პირველი არხისა და რუსთავი 2-ის მსგავსად, იმედმა საინფორმაციო გამოშვებაში დაიწყო პირდაპირი ჩართვების გაკეთება, რომლებსაც საკმაოდ დიდი დრო ეთმობა, დაახლოებით 15-25 წუთი. ამ ჩართვებში მონაწილეობას იღებენ პოლიტიკური ფიგურები. მონიტორინგის პერიოდში იმედზე გასულ საინფორმაციო გამოშვებებში გადაცემებში სულ 4 ასეთი ჩართვა მოხდა, აქედან ორი იყო დებატების ფორმატში რამოდენიმე სტუმრით, დანარჩენ ორში კი მხოლოდ ერთი რესპოდენტი იყო წარმოდგენილი.

აგვისტოს მეორე ნახევრის ჩართვების შემთხვევაში ჟურნალისტი თითქმის ყოველთვის აცდიდა სტუმრებს ბოლომდე აზრის გამოთქმას და მხოლოდ მაშინ აწყვეტინებდა, თუ რესპოდენტი სასაუბრო თემას სცდებოდა. ჟურნალისტის შეკითხვები სტუმრებისადმი უმეტესად ნაკლებად მომთხოვნი იყო. მხოლოდ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა 20 აგვისტოს

გადაცემაში, როდესაც ჟურნალისტმა მეტი სიმკაცრე გამოიჩინა კოალიცია ქართული ოცნების წევრის, ვიქტორ დოლიძისადმი და შედარებით მეტი შეკითხვა დაუსვა მას.

მაესტრო

მაესტროზე მონიტორინგის განმავლობაში ყველაზე მეტი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას. პირველ სამეულში მასთან ერთად მოხვდნენ: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და მთავრობა. მეოთხე ადგილი კი პრეზიდენტმა დაიკავა. კოალიცია ქართული ოცნების, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, პრეზიდენტისა და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის შემთხვევაში პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი თითქმის თანაბრად გადანაწილდა. აქვე აღსანიშნავია, რომ კოალიცია ქართულ ოცნებასა და პრეზიდენტს პირდაპირი საუბრის ზუსტად ერთნაირი მაჩვენებელი აქვთ. მაესტროზე სიუჟეტების უმეტესობა ნეიტრალურ საერთო შთაბეჭდილებას ტოვებს სუბიექტებზე. თუმცა, ხელისუფლების წარმომადგნლების შემთხვევაში შეინიშნება უარყოფითი გაშუქება, ოღონდ უფრო მეტად კრიტიკულ ჭრილში. ხშირ შემთხვევაში ეს უარყოფითი შთაბეჭდილება იქმნება რესპონდენტების კომენტარების შედეგად და არა ჟურნალისტის ტექსტებით ან კადრებით. სიუჟეტები წარმოდგენილი რესპონდენტებისა და განსხვავებული მოსაზრებების მხრივ ძირითად შემთხვევებში დაბალანსებულია. იშვიათია შემთხვევები, როცა ჟურნალისტის ნათქვამი/დასკვნა არ შეესაბამებოდა სიუჟეტში წარმოდგენილ მასალას. კადრებით და მუსიკით მანიპულაციას ადგილი თითქმის არ ჰქონდა.

მაესტროზე მონიტორინგის განმავლობაში სუბიექტებს სულ 5 საათი და 17 წუთი დაეთმო. ყველაზე მეტი დროის განმავლობაში გაშუქდა კოალიცია ქართული ოცნება (25%). პირველ სამეულში მასთან ერთად მოხვდნენ: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (17%) და მთავრობა (13%). მეოთხე ადგილი კი პრეზიდენტმა დაიკავა (10%). საინტერესოა, რომ მაესტროსა და კავკასიაზე დათმობილი დროის მიხედვით პირველ ექვსეულში მოხვედრილი სუბიექტები და მათი თანმიმდევრობა ერთნაირია. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი

არასამთავრობოების[5] გაშუქებას მონიტორინგის ქვეშ მყოფი შვიდი არხიდან მხოლოდ მაესტროზე, კავკასიასა და მეცხრე არხზე დაეთმო 1 წუთზე მეტი დრო - სუბიექტებისთვის დათმობილი დროის 6-7 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Time 4 და დიაგრამა Time 6)

პირდაპირ და ირიბ საუბარზე დაკვირვებით გამოვლინდა, რომ კოალიცია ქართული ოცნების, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, პრეზიდენტისა და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის შემთხვევაში პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი თითქმის თანაბრად გადანაწილდა. აქვე აღსანიშნავია, რომ კოალიცია ქართულ ოცნებასა და პრეზიდენტს პირდაპირი საუბრის ზუსტად ერთნაირი მაჩვენებელი აქვთ (კოალიცია - 48% დაახლოებით 1 საათი და 20 წუთიდან; პრეზიდენტი - 48% დაახლოებით 31 წუთიდან). იმ სუბიექტებიდან, რომლებსაც 9 წუთზე მეტი დაეთმო, მთავრობას აქვს პირდაპირი საუბრის ყველაზე დაბალი პროცენტი (29% დაახლოებით 42 წუთიდან). (იხ. დიაგრამა Speech 4)

რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასებას ტონის მიხედვით, მაესტროზე დადებითი ტონით გაშუქების ოდენობა საკმაოდ მცირეა. ყველაზე მეტი დადებითი ტონი აქვს პრეზიდენტს (10% დაახლოებით 32 წუთიდან). უარყოფითი ტონი კი რამდენიმე სუბიექტს დაუფიქსირდა: ადგილობრივი თვითმმართველობა (31% დაახლოებით 12 წუთიდან), პრეზიდენტი (21% დაახლოებით 32 წუთიდან), მთავრობა (18% დაახლოებით 43 წუთიდან), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (13% დაახლოებით 1 საათიდან). რაც შეეხება კოალიცია ქართულ ოცნებას, რომელსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო (1 სთ 28 წთ), დათმობილი დროის 91 პროცენტის განმავლობაში იგი ნეიტრალურად გაშუქდა და მხოლოდ 4 პროცენტი დადებითი და 5 პროცენტი უარყოფითი ტონი დაუფიქსირდა. (იხ. დიაგრამა Tone 4)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, სურათი გარკვეულწილად იმეორებს საერთო ტონის ტენდენციას. ჟურნალისტის ტონში ყველაზე მეტი უარყოფითი ტონის წილი გამოვლინდა რამდენიმე სუბიექტის მიმართ: ადგილობრივი თვითმმართველობა (28% დაახლოებით 4 წუთიდან), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (18%

[5] მონიტორინგი ადგილობრივი არასამთავრობოების გაშუქებას აკვირდება მხოლოდ საარჩევნო კონტექსტში.

დაახლოებით 24 წუთიდან), პრეზიდენტი (15% დაახლოებით 10 წუთიდან) და მთავრობა (8% დაახლოებით 18 წუთიდან). ჟურნალისტის მხრიდან სუბიექტის დადებითი ტონით გაშუქება ძალიან იშვიათია - პრეზიდენტს დაუფიქსირდა დადებითი ტონის 7 პროცენტი და ადგილობრივ თვითმმართველობას 2 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone J4)

მაესტროზე სიუჟეტებს უმეტესად აღწერილობითი და ნეიტრალური სათაურები ჰქონდა. თუმცა, შეინიშნება მთავრობის, პრეზიდენტის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ნაციონალური მოძრაობისა მიმართ კრიტიკული შინაარსის მქონე სათაურები, რაც უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ამ სუბიექტებზე. მაგალითად, „უმუშევრად დარჩენილი: კოპიტნარის აეროპორტის 102 თანამშრომელი სამსახურიდან მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც ახალი აეროპორტის მშენებლობა დაიწყო“ (16 აგვისტო); „დამეწყრილი ოჯახები: განმუხურის მკვიდრნი ხელისუფლებისგან კომპენსაციას უშედეგოდ ითხოვენ“ (20 აგვისტო); „წინასაარჩევნო რეკლამები: თბილისში მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო პლაკატები გამოჩნდა“ (22 აგვისტო).

საერთო ჯამში, მაესტროზე სიუჟეტების უმეტესობა ნეიტრალურ საერთო შთაბეჭდილებას ტოვებს სუბიექტებზე. თუმცა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, პრეზიდენტის, მთავრობის, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგნლების შემთხვევაში შეინიშნება უარყოფითი გაშუქება, ოღონდ უფრო მეტად კრიტიკულ ჭრილში. აქვე აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში ეს უარყოფითი შთაბეჭდილება იქმნება რესპონდენტების კომენტარების შედეგად და არა ჟურნალისტის ტექსტებით ან კადრებით.

17 აგვისტოს სიუჟეტი „დახმარების მოლოდინში“ მოგვითხრობს ბაზალეთის რაიონის სოფელ ბაგაში სტიქიით დაზარალებული ერთ-ერთი ოჯახის უკმაყოფილებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ მათ და მათი თანასოფლელების ნაწილმა ვერ მიიღეს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დახმარება. ჟურნალისტი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ცდილობს დაკავშირებას, რომლებიც არ პასუხობენ შეკითხვებზე სრულად და გადაამისამართებენ სხვა პირებთან. სიუჟეტიდან საერთო ჯამში რჩება უარყოფითი შთაბეჭდილება ამ რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.

21 აგვისტოს სიუჟეტში „ვინ დაანგრია ბათუმის სტადიონი“ ნაჩვენებია პრეზიდენტის გამოსვლის ნაწყვეტი, სადაც იგი ბათუმში სტადიონის დანგრევას ასლან აბაშიძეს აბრალებს. შემდეგ წარმოდგენილი რესპონდენტები კი ამ ნათქვამს აბათილებენ და ამბობენ, რომ აღნიშნული სტადიონი სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს დაინგრა. ამასვე იმეორებს ჟურნალისტი და აღნიშნავს, რომ სტადიონი იმისთვის დაინგრა, რომ უცხოელ ინვესტორებს იმ ადგილას სასტუმრო კემპინსკი აეშენებინათ. შემდეგ ნაწილში სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტი ამბობს, რომ სტადიონის თემა ყოველი არჩევნების წინ აქტუალური ხდება და ახალი მაკეტი იდება. თუმცა, 2006 წლიდან მოყოლებული არაფერი გაკეთებულა. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტი ძირითადად რესპონდენტების ნათქვამებს იმეორებს, მთლიანობაში უარყოფითი შთაბეჭდილება რჩება პრეზიდენტზე, რომელიც დაპირებას არ ასრულებს.

16 აგვისტოს მაესტროს არხზეც გაშუქდა რაბათის ციხის საზეიმო გახსნა სიუჟეტში „პრეზიდენტი ახალციხეში: პრეზიდენტმა განახლებული რაბათის ციხე გახსნა“. სიუჟეტს სხვა არხებთან შედარებით ნაკლები დრო - 1:51 წუთი დაეთმო. სიუჟეტში ჟურნალისტი ნეიტრალურად საუბრობდა. თუმცა, მთლიანობაში დადებითი შთაბეჭდილება იქმნებოდა პრეზიდენტზე მისი გამოსვლისა და ხალხთან შეხვედრის გამო. აქვე აღსანიშნავია, რომ მაესტროს ამ სიუჟეტში აჩვენეს სააკაშვილის გამოსვლის ის ნაწილი, სადაც იგი შეცდომით ამბობს „ვეფხისტყაოსნის“ სტროფს როსტევან მეფის შესახებ. მიუხედავად ამისა, ჟურნალისტის მხრიდან ამის ხაზგასმა არ ყოფილა.

მაესტროზე სიუჟეტები წარმოდგენილი რესპონდენტებისა და განსხვავებული მოსაზრებების მხრივ ძირითად შემთხვევებში დაბალანსებულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაუბალანსებელი სიუჟეტები უმეტესად ისეთ საკითხებს ეხება, სადაც აშკარაა მთავრობის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების კომენტარის საჭიროება. ამასთან, ზოგ შემთხვევაში ჟურნალისტი ამბობს, რომ იყო მცდელობა რესპონდენტებთან დაკავშირების, მაგრამ ვერ მოხერხდა.

მაესტროზე იშვიათია შემთხვევები, როცა ჟურნალისტის ნათქვამი/დასკვნა არ შეესაბამება სიუჟეტში წარმოდგენილ მასალას: რესპონდენტების კომენტარებსა და კადრებს.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში კადრებით მანიპულირების შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

კავკასია

კავკასიაზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას. დათმობილი დროის მიხედვით მომდევნო სუბიექტს მასთან შედარებით ნახევარზე ნაკლები დრო დაეთმო. იმ სუბიექტებიდან, რომლებსაც 10 წუთზე მეტი დრო დაეთმო, უმეტესობას პირდაპირი საუბრის წილი 61 პროცენტზე მეტი აქვთ. გამონაკლისია კოალიცია ქართული ოცნება, რომელსაც პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი საკმაოდ თანაბრად გადაუნაწილდა. სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, არის შემთხვევები, როცა სიუჟეტები მხოლოდ ერთ წყაროს ეფუძნება. დაუბალანსებელი სიუჟეტების შემთხვევაში ხშირად იგრძნობა მთავრობის, ნაციონალური მოძრაობისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების კომენტარების ნაკლებობა. სიუჟეტებში სუბიექტებზე ძირითადად ნეიტრალური ზოგადი შთაბეჭდილება რჩება. სიუჟეტები უმეტესად გამყარებულია კადრებითა და რესპონდენტების კომენტარებით. რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში წარმოდგენილ მასალას შორის, ასეთი შემთხვევები თითქმის არ გვხვდება.

16-დან 31 აგვისტოს ჩათვლით კავკასიაზე სუბეიქტებს ჯამში 5 საათი და 9 წუთი დაეთმო. ყველაზე მეტი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას (28%). აღსანიშნავია, რომ დათმობილი დროის მიხედვით მომდევნო სუბიექტს მასთან შედარებით ნახევარზე ნაკლები დრო დაეთმო. ამასთან, მეორე, მესამე და მეოთხე ადგილას მდგომი სუბიექტების მაჩვენებლები ერთმანეთის მსგავსია: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (12%), მთავრობა (11%), პრეზიდენტი (10%). საინტერესოა, რომ ადგილობრივი არასამთავრობოების[6] გაშუქებას მონიტორინგის ქვეშ მყოფი შვიდი არხიდან მხოლოდ კავკასიაზე, მაესტროსა და მეცხრე

[6] მონიტორინგი ადგილობრივი არასამთავრობოების გაშუქებას აკვირდება მხოლოდ საარჩევნო კონტექსტში.

არხზე დაეთმო 1 წუთზე მეტი დრო - სუბიექტებისთვის დათმობილი დროის 6-7 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Time 5)

პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტული განაწილების მიხედვით აღსანიშნავია, რომ კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში, რომელსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო, პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი თითქმის თანაბრადაა განაწილებული (პირდაპირი საუბარი 49%, ირიბი - 51% დაახლოებით 1 საათი და 27 წუთიდან). იმ სუბიექტებიდან, რომლებსაც 10 წუთზე მეტი დრო დაეთმო, უმეტესობას პირდაპირი საუბრის წილი 61 პროცენტზე მეტი აქვთ. მათ შორის, პრეზიდენტს ყველაზე მაღალი (69% - 31 წუთიდან). ყველაზე დაბალი პირდაპირი საუბრის წილი კი გამოვლინა დათმობილი დროის მიხედვით მეორე და მესამე ადგილას მყოფი ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა (41% დაახლოებით 38 წუთიდან) და მთავრობის (29% დაახლოებით 33 წუთიდან) მიმართ. (იხ. დიაგრამა Speech 5)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებისას აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი დადებითი ტონი დაფიქსირდა პრეზიდენტის მიმართ (44% დაახლოებით 32 წუთიდან). ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა კავკასიაზე მონიტორინგის პერიოდში დათმობილი დროის 9 პროცენტის განმავლობაში დადებითად გაშუქდა. უარყოფითი ტონის შედარებით დიდი წილი დაფიქსირდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა (18% დაახლოებით 42 წუთიდან) და მთავრობის (13% დაახლოებით 34 წუთიდან) მიმართ. რაც შეეხება კოალიცია ქართულ ოცნებას, რომელსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო (1 სთ 41 წთ), დათმობილი დროის 92 პროცენტის განმავლობაში იგი ნეიტრალურად გაშუქდა და მხოლოდ 3 პროცენტი დადებითი და 5 პროცენტი უარყოფითი ტონი დაუფიქსირდა. (იხ. დიაგრამა Tone 5)

ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება უმეტესად ნეიტრალურ სურათს ქმნის. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში დაფიქსირდა უარყოფითი ტონის შედარებით დიდი წილი (16% დაახლოებით 16 წუთიდან), ხოლო პრეზიდენტის შემთხვევაში - დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (13% დაახლოებით 7 წუთიდან). (იხ. დიაგრამა Tone J5).

მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში კავკასიაში სიუჟეტებს სათაურები არ აქვს, ამიტომ მათზე დაკვირვება ვერ ხერხდება.

სიუჟეტებში გამოყენებული წყაროებისა და წარმოდგენილი აზრთა სხვადასხვაობის მხრივ, კავკასიაზე მონიტორინგის პერიოდში სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, არის შემთხვევები, როცა სიუჟეტები მხოლოდ ერთ წყაროს ეფუძნება. დაუბალანსებელი სიუჟეტების შემთხვევაში ხშირად იგრძნობა მთავრობის, ნაციონალური მოძრაობისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების კომენტარების ნაკლებობა. სხვა არხების მსგავსად, კავკასიაზეც გახშირდა სიუჟეტები საარჩევნო კამპანიის შესახებ, რომელთა შემთხვევაშიც რთულია რაიმე ბალანსზე საუბარი.

სიუჟეტებში სუბიექტებზე ძირითადად ნეიტრალური ზოგადი შთაბეჭდილება რჩება. თუმცა, ასევე ბევრი სიუჟეტია, სადაც საერთო შთაბეჭდილება ამა თუ იმ სუბიექტზე იხრება უფრო დადებითისკენ ან უფრო უარყოფითისკენ. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ზოგადი შთაბეჭდილების უარყოფითისკენ გადახრა უფრო მეტად შეინიშნება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, მთავრობის, ხელისუფლების, პრეზიდენტისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ. ამ შთაბეჭდილებას უმეტესად ქმნის სიუჟეტებში წარმოდგენილი რესპონდენტების კომენტარები. თუმცა, მონიტორინგის პერიოდში იყო სიუჟეტები, სადაც პრეზიდენტზე დადებითი შთაბეჭდილება რჩებოდა.

24 აგვისტოს სიუჟეტში ლაფანყურში ადგილობრივი ახალგაზრდების გატაცების შესახებ ჟურნალისტი ამბობს, რომ ლაფანყურის მკვიდრს არ სჯერა იმ ვერსიის, რომ ახალგაზრდები დაღესტნიდან გადმოსულმა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ გაიტაცა და თვლის, რომ ეს მთავრობის მოწყობილია. ამის შემდეგ წარმოდგენილია ორი რესპონდენტი, რომელიც ადასტურებს ჟურნალისტის სიტყვებს. ერთ-ერთი მათგანი ამბობს კიდეც, რომ „არავითარი გამტაცებელი აქ არც ლეკი ყოფილა, არც რუსი ყოფილა. არც არავინ არა ყოფილა. ეს დააწყო ამ მთავრობამ... რაში აწყობს? იმიტომ, რომ ეშინია, ეტყობა, ამ არჩევნებისა... ეს ბიჭები არიან ნაციონალების ისენი“. სიუჟეტი არ არის ხანგრძლივი, მაგრამ უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს მთავრობასა და ნაციონალურ მოძრაობაზე.

17 აგვისტოს სიუჟეტში ახალციხეში რაბათის ციხის გახსნის შესახებ პრეზიდენტზე საკმაოდ დადებითი შთაბეჭდილება რჩება. ჟურნალისტის ტექსტი ნეიტრალურია, მაგრამ ნაჩვენებია ციხის ლამაზი კადრები, შეკრებილი ხალხი და პრეზიდენტის გამოსვლა, რაც დადებით შთაბეჭდილებას ქმნის. საინტერესოა, რომ პრეზიდენტის გამოსვლის ნაწყვეტი, სადაც იგი შეცდომით ამბობს „ვეფხისტყაოსნიდან“ ამონარიდს, ნაჩვენები არ არის.

პრეზიდენტს ასევე დადებითად წარმოაჩენს 28 აგვისტოს სიუჟეტი ქუთაისში ახალი აეროპორტის გახსნის შესახებ. აქაც ეს დადებითი შთაბეჭდილება იქმნება პრეზიდენტის გამოსვლის შედეგად. თუმცა, ნაჩვენები არ არის სააკაშვილის მიერ თვითმფრინავის მართვის კადრები, რაც რუსთავი 2-სა და იმედზე საკმაოდ ხანგრძლივად იყო წარმოდგენილი სიუჟეტში.

სიუჟეტები უმეტესად გამყარებულია კადრებითა და რესპონდენტების კომენტარებით. რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში წარმოდგენილ მასალას შორის, ასეთი შემთხვევები მონიტორინგის მოცემულ პერიოდში თითქმის არ გვხვდება.

მეცხრე არხი

მეცხრე არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო საკმაოდ არათანაბრად გადანაწილდა. პირველ ადგილზეა კოალიცია ქართული ოცნება 30 პროცენტით, რაც საკმაოდ აღემატება მეორე ადგილას მყოფი სუბიექტის, მთავრობის, მაჩვენებელს. იმ სუბიექტებიდან, რომლებსაც 10 წუთზე მეტი დრო დაეთმო, ყველაზე თანაბარი განაწილება აქვს კოალიცია ქართულ ოცნებას და ადგილობრივ არასამთავრობოებს. მთავრობას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და პრეზიდენტს კი პირდაპირი საუბრის შედარებით დაბალი წილი დაუფიქსირდათ. მეცხრე არხზე საკმაოდ ხშირად შეიმჩნევა კრიტიკული და ირონიული სათაურები პრეზიდენტის, მთავრობისა და მმართველი გუნდის მიმართ. სიუჟეტებში პრეზიდენტი, მთავრობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლები უმეტეს შემთხვევებში უარყოფით კონტექსტში არიან გაშუქებული როგორც რესპონდენტების კომენტარების, ასევე საერთო კონტექსტისა და ჟურნალისტის ტექსტის შედეგად. რაც შეეხება სიუჟეტებში სხვადასხვა მოსაზრებების წარმოდგენას, ამ მხრივ სიუჟეტები მეტ-ნაკლებად

დაბალანსებულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში სიუჟეტებში არ არის წარმოდგენილი მთავრობისა, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა კომენტარები. იყო შემთხვევები, როცა ჟურნალისტის ნათქვამი და სიუჟეტში წარმოდგენილი მასალა ერთმანეთთან შესაბამისობაში არ მოდის.

მეცხრე არხზე მონიტორინგის პერიოდში მონიტორინგის ქვეშ მყოფ სუბიექტებს 5 საათი და 9 წუთი დაეთმო, რაც საკმაოდ არათანაბრად გადანაწილდა. დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილზეა კოალიცია ქართული ოცნება 30 პროცენტით, რაც საკმაოდ აღემატება მეორე ადგილას მყოფი სუბიექტის, მთავრობის, მაჩვენებელს - 18 პროცენტი. მესამე და მეოთხე ადგილზე კი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და პრეზიდენტი მოხვდნენ 15 და 13 პროცენტით. ასევე აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი არასამთავრობოების[7] გაშუქებას მონიტორინგის ქვეშ მყოფი შვიდი არხიდან მხოლოდ მე-9 არხზე, კავკასიასა და მაესტროზე დაეთმო 1 წუთზე მეტი დრო - სუბიექტებისთვის დათმობილი დროის 6-7 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Time 6 და დიაგრამა Time 4)

პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილებას რაც შეეხება, იმ სუბიექტებიდან, რომლებსაც 10 წუთზე მეტი დრო დაეთმო, ყველაზე თანაბარი განაწილება აქვს კოალიცია ქართულ ოცნებას (51% პირდაპირი დაახლოებით 1 საათი და 15 წუთიდან) და ადგილობრივ არასამთვრობო ორგანიზაციებს (54% პირდაპირი დაახლოებით 15 წუთიდან). რაც შეეხება, მეორე, მესამე და მეოთხე ადგილას მყოფ მთავრობას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და პრეზიდენტს, მათ პირდაპირი საუბრის შედარებით დაბალი წილი დაუფიქსირდათ (მთავრობა - 18% 46 წუთიდან; ნაც. მოძრაობა - 28% 37 წუთიდან; პრეზიდენტი - 33% 32 წუთიდან). აქვე აღსანიშნავია, რომ ყველა არხთან შედარებით მეცხრე არხზე მთავრობას პირდაპირი საუბრის ყველაზე დაბალი პროცენტი აქვს. (იხ. დიაგრამა Speech 6)

სუბიექტების გაშუქების ტონის მხრივ მეცხრე არხზე თვალში საცემია უარყოფითი ტონის სიჭარბე შემდეგი ოთხი სუბიექტის მიმართ: პრეზიდენტი (56% დაახლოებით 32 წუთიდან),

[7] მონიტორინგი ადგილობრივი არასამთავრობოების გაშუქებას აკვირდება მხოლოდ საარჩევნო კონტექსტში.

ადგილობრივი თვითმმართველობა (48% დაახლოებით 9 წუთიდან), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (46% დაახლოებით 40 წუთიდან) და მთავრობა (39% დაახლოებით 47 წუთიდან). რაც შეეხება დადებით ტონს, მეცხრე არხზე დადებითი გაშუქება იშვიათია. იმ სუბიექტებიდან, რომლებსაც 10 წუთზე მეტი დრო დაეთმო, მხოლოდ რამდენიმე სუბიექტს დაუფიქსირდა დადებითი ტონი: პრეზიდენტს (5% დაახლოებით 32 წუთიდან) და კოალიცია ქართულ ოცნებას (6% დაახლოებით 1 საათი და 24 წუთიდან) აქვთ. აქვე აღსანიშნავია, რომ კოალიცია ქართული ოცნება, რომელსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო, 90 პროცენტის განმავლობაში ნეიტრალური ტონით გაშუქდა. (იხ. დიაგრამა Tone 6)

ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება ზოგად ტონის ტენდენციის მსგავსია. უარყოფითი ტონის წილი საკმაოდ დიდია ზუსტად იმ სუბიექტების მიმართ, რომლებსაც საერთო ტონში უარყოფითი გაშუქების ასევე დიდი წილი ჰქონდათ. ადგილობრივი თვითმმართველობა (57% დაახლოებით 6 წუთიდან), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (53% დაახლოებით 21 წუთიდან), მთავრობა (38% დაახლოებით 26 წუთიდან) და პრეზიდენტი (38% დაახლოებით 15 წუთიდან). (იხ. დიაგრამა Tone J6)

სიუჟეტების სათაურების მხრივ მეცხრე არხზე საკმაოდ ხშირად შეიმჩნევა კრიტიკული და ირონიული სათაურები პრეზიდენტის, მთავრობისა და მმართველი გუნდის მიმართ. მაგალითები: „წიწიბურას დანიშნულება: მთავრობა წარუმატებელ აგროპროექტებზე აღარ საუბრობს“ (17 აგვისტო), „რეკლამა მიკროავტობუსებში: მიკროავტობუსებში მხოლოდ ნაციონალების რეკლამა გადის“ (20 აგვისტო), „მზადება „მაგარი“ გაყალბებისთვის? პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ არჩევნებს მოიგებს“ (21 აგვისტო), „ლენინიზმი“ საქართველოში: რურუამ მილიორის განცხადებას სისულელე უწოდა“ (23 აგვისტო), „მინისტრის ბიზნეს ინტერესი: პაატა ტრაპაიძე ბიზნესის წილს ისევ აკონტროლებს“ (24 აგვისტო), „დაუსრულებელი პროექტები რუსთავში: პრეზიდენტისთვის გახსნილი პროექტები არ გაგრძელებულა“ (25 აგვისტო), „არჩილ გეგენავას უცნაური დაპირება: კანდიდატი ხალხს ავარიულ სახლებს პირდება“ (31 აგვისტო).

თვისებრივი მონიტორინგის დროს სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებაზე დაკვირვების შედეგად მეცხრე არხზე გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სიუჟეტებში პრეზიდენტი, მთავრობა,

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლები უმეტეს შემთხვევებში უარყოფით კონტექსტში არიან გაშუქებული როგორც რესპონდენტების კომენტარების, ასევე საერთო კონტექსტისა და ჟურნალისტის ტექსტის შედეგად.

მაგალითად, რაბათის ციხის გახსნა მეცხრე არხმაც გააშუქა. 16 აგვისტოს სიუჟეტი „ზეიმი ახალციხეში“[8] იწყება ჟურნალისტის სიტყვებით: „და ახალი ფრაზები მიხეილ სააკაშვილისგან. რაბათის ციხეს აღმშენებლობის გვირგვინი უწოდა დღეს მიხეილ სააკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას... შეიძლება, ეს ის ციხეა, სადაც მეფე როსტევანი იჯდა. თუმცა, მე არა მგონია, რომ ნესტან-დარეჯანი აქ ყოფილიყო გამოკეტილი, რადგან ეს ქაჯეთის ციხე არ არის. ეს და ამ მნიშვნელოვანი სხვა ფრაზები თავად მოუსმინეთ პრეზიდენტს“. ამის შემდეგ ნაჩვენებია პრეზიდენტის გამოსვლის ნაწყვეტი, სადაც სრულადაა მოცემული მიხეილ სააკაშვილის მიერ შეცდომით ნათქვამი „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონები. ამ საკითხთან დაკავშირებით სიუჟეტი მეორე დღესაც გავიდა, 17 აგვისტოს - „პრეზიდენტი და „ვეფხისტყაოსანი“ - სააკაშვილი: „შეიძლება მეფე როსტევან რაბათში იჯდა“[9]. სიუჟეტის წარდგენას ჟურნალისტი ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „რატომ ამოჭრა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ნაწყვეტები სააკაშვილის მხატვრული კითხვის საღამოდან? ნახეთ პრეზიდენტის თავისუფალი თემა „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზე“. სიუჟეტში ისევ გაიმეორეს პრეზიდენტის მიერ დაშვებული შეცდომა.

31 აგვისტოს სიუჟეტი „არჩილ გეგენავას უცნაური დაპირება: კანდიდატი ხალხს ავარიულ სახლებს პირდება“ აგებულია ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატის, არჩილ გეგენავას, წინასაარჩევნო დაპირებებზე, რომელთა შორის ერთ-ერთი „ავარიული სახლებია“. მთელი სიუჟეტის განმავლობაში შეიმჩნევა ირონია ამ დაპირებისა და მისი ავტორის მიმართ. წარმოდგენილი რესპონდენტების უმეტესობა ღიმილით ხვდება მაჟორიტარის სარეკლამო პლაკატზე განთავსებულ სიტყვებს. მართალია, წარმოდგენილია მაჟორიტარის პიარ მენეჯერის კომენტარიც. თუმცა, ზოგადი შთაბეჭდილება მაინც ირონიული რჩება.

[8] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=cDfnLbur_V0&feature=youtu.be
[9] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=xeiaCeGoZGE&feature=youtu.be

მეცხრე არხზე გვხვდება სიუჟეტები, სადაც კონკრეტული სუბიექტის მიმართ უარყოფით შთაბეჭდილებას ამძაფრებს ჟურნალისტის ტექსტი. მაგალითები:

- ჟურნალისტი: „ხელისუფლება იმის მოსმენა, რომ კახეთში ადამიანები უკმაყოფილოები არიან, როგორც ჩანს, არ სურს. პრეზიდენტი კი გაჭირვებულ ადამიანებთან საუბარს გაურბის". (16 აგვისტო, სიუჟეტი „ერთი თვე სტიქიიდან")
- ჟურნალისტი: „სიძულვილის ენა უკვე სააკაშვილის გამოსვლების განუყოფელი ნაწილი გახდა". (21 აგვისტო, სიუჟეტი „სავალდებულო გაწვევა: ახალგაზრდები პოლიტიკური ნიშნით გაწვევაზე საუბრობენ")
- ჟურნალისტი: „ნაციონალური მოძრაობის ტოტალური გატაცება ციფრი 5-ით. ხუთიანების ფარული და არაფარული რეკლამა უკვე ღიმილს იწვევს". (28 აგვისტო, სიუჟეტი „შეწირული ხუთიანები: დეპუტატებმა და ექსმინისტრებმა შეწირულობები გაიღეს")

რაც შეეხება სიუჟეტებში სხვადასხვა მოსაზრებების წარმოდგენას, ამ მხრივ სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში სიუჟეტებში არ არის წარმოდგენილი მთავრობის, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა კომენტარები.

მეცხრე არხზე არის შემთხვევები, როცა ჟურნალისტის ნათქვამი და სიუჟეტში წარმოდგენილი მასალა ერთმანეთთან შესაბამისობაში არ მოდის.

რეალ ტვ

რეალ ტვ-ზე 16-31 აგვისტოს პერიოდში სუბიექტებისთვის დათმობილი დრო საკმაოდ არათანაბრად გადანაწილდა. პირველ ადგილას დგას კოალიცია ქართული ოცნება 34 პროცენტით. პირველ ოთხეულში ასევე არიან: მთავრობა 20 პროცენტით, პრეზიდენტი 18 პროცენტით და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 12 პროცენტით. იმ ხუთი სუბიექტიდან, რომელსაც 10 წუთზე მეტი დრო დაეთმო, კოალიცია ქართულ ოცნებას აქვს პირდაპირი საუბრის ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი. სიუჟეტების სათაურების მხრივ რეალ ტვ-ზე აღსანიშნავია, რომ ხშირად გვხვდება აღწერილობითი და მოკლე სათაურები.

მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით, ამჯერად შედარებით უფრო იშვიათად დაფიქსირდა უარყოფითი შინაარსის სათაურები, უმეტესად კოალიცია ქართულ ოცნებაზე. სიუჟეტები ხან დაბალანსებულია, ხან არა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაუბალანსებელი სიუჟეტების უმეტესობა განპირობებულია კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლების კომენტარების ნაკლებობით ან განსხვავებული აზრის მქონე რესპონდენტების ნაკლებობით.

რეალ ტვ-ზე 16-31 აგვისტოს პერიოდში სუბიექტებს სულ 5 საათი და 43 წუთი დაეთმო. ეს დრო საკმაოდ არათანაბრად გადანაწილდა მონიტორინგის ქვეშ მყოფ სუბიექტებს შორის. თვალში საცემია 4 ძირითადი სუბიექტი, რომელთაც რეალ ტვ-ზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო. თუმცა, პროცენტულ მაჩვენებლებს შორის საკმაოდ დიდი განსხვავებებია. პირველ ადგილას დგას კოალიცია ქართული ოცნება 34 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ მთელი მონიტორინგის მანძილზე კოალიციას ყოველთვის 40 პროცენტზე მეტი დრო ჰქონდა დათმობილი. ამ პერიოდში კი მაჩვენებელმა დაიწია. პირველ ოთხეულში ასევე არიან: მთავრობა 20 პროცენტით, პრეზიდენტი 18 პროცენტით და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 12 პროცენტით. დანარჩენ სუბიექტებს კი 4 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო. (იხ. დიაგრამა Time 7)

პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტულ განაწილებას რაც შეეხება, იმ ხუთი სუბიექტიდან, რომელსაც 10 წუთზე მეტი დრო დაეთმო, კოალიცია ქართულ ოცნებას აქვს პირდაპირი საუბრის ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი (40% დაახლოებით 1 საათი და 56 წუთიდან), ხოლო პრეზიდენტს - ყველაზე მაღალი (83% დაახლოებით 1 საათი და 3 წუთიდან). მთავრობისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი საკმაოდ თანაბრადაა განაწილებული. (იხ. დიაგრამა Speech 7)

სუბიექტების გაშუქების ტონს რაც შეეხება, თვალში საცემია დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილას მდგომი კოალიცია ქართული ოცნების უარყოფითი ტონით გაშუქების წილი - 60 პროცენტი დაახლოებით 2 საათი და 9 წუთიდან. უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს შემთხვევაშიც - 67 პროცენტი დაახლოებით 6 წუთიდან. რაც შეეხება დადებით ტონს,

შემდეგი ოთხი სუბიექტის მიმართ გამოვლინდა დადებითი ტონის საკმაოდ დიდი წილი: პრეზიდენტი (64% დაახლოებით 1 საათი და 5 წუთიდან), ადგილობრივი თვითმმართველობა (51% - 14 წუთიდან), მთავრობა (34% დაახლოებით 1 საათი და 13 წუთიდან) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (26% დაახლოებით 46 წუთიდან). (იხ. დიაგრამა Tone 7)

სუბიექტებზე ჟურნალისტის საუბრის ტონის შეფასებისას იკვეთება, რომ კოალიცია ქართულ ოცნებას ჟურნალისტის ტონის შემთხვევაში უარყოფითი ტონის უფრო მეტი წილი აქვს - 74 პროცენტი (დაახლოებით 1 საათიდან), ვიდრე საერთო ტონის შედეგებში. მსგავსი სურათი გვაქვს დემოკრატიული მოძრაობის შემთხვევაში - 73 პროცენტი უარყოფითი ტონი დაახლოებით 3 წუთიდან. მთავრობა და პრეზიდენტია ის სუბიექტები, რომლებსაც დადებითი ტონის ყველაზე დიდი წილი აქვთ: პრეზიდენტი (48% დაახლოებით 7 წუთიდან) და მთავრობა (23% დაახლოებით 27 წუთიდან). (იხ. დიაგრამა Tone J7)

სიუჟეტების სათაურების მხრივ რეალ ტვ-ზე აღსანიშნავია, რომ ხშირად გვხვდება აღწერილობითი და მოკლე სათაურები. მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით, ამჯერად შედარებით უფრო იშვიათად დაფიქსირდა უარყოფითი შინაარსის სათაურები, უმეტესად კოალიცია ქართულ ოცნებაზე. მაგალითად, 24 აგვისტოს სიუჟეტები „ივანიშვილის ამერიკელი" და „კალაძის რიტორიკა"; „სახელმწიფოებრივი" ლედი ნინო" (21 აგვისტო); „მოხერხებული" ხმალაძე" (22 აგვისტო); „შორსმჭვრეტელი" კუკავა" (23 აგვისტო); „კრიმინალების ძმები „ოცნებაში" (27 აგვისტო); „რენეგატი ალასანია" (31 აგვისტო).

რეალ ტვ-ის სიუჟეტებში ძირითადად საერთო შთაბეჭდილება დადებითისკენ ან უარყოფითითისკენ იხრება. იშვიათია ნეიტრალური საერთო შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტები. ამასთან, დადებითი სიუჟეტების უმეტესობა ეხება პრეზიდენტს, პრემიერმინისტრს, მთავრობას და რიგ შემთხვევებში ნაიცონალური მოძრაობასა და თბილისის მერს. მაგალითად, 16 აგვისტოს სიუჟეტები „განახლებული ახალციხე" და „განახლებული რაბათის ციხე". ორივე სიუჟეტში დადებითი შთაბეჭდილება რჩება პრეზიდენტსა და მმართველ გუნდზე. პირველ სიუჟეტში წარმოდგენილია პრეზიდენტის სიტყვის ვრცელი მონაკვეთი, მათ შორის, სააკაშვილის მიერ გამართულად თუ შეცდომით

ნათქვამი ყველა სტრიქონი. ნაჩვენებია შეკრებილი ხალხი, ახალდაქორწინებული წყვილი, ციხის ლამაზი ხედები. მეორე სიუჟეტში ლამაზ კადრებს თან სდევს სასიამოვნო მუსიკა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს დადებით შთაბეჭდილებას.

17 აგვისტოს სიუჟეტში „პრემიერი კახეთში“ ნაჩვენებია პრემიერმინისტრის ვიზიტი სტიქიით დაზარალებულ სოფელში. მერაბიშვილი პირადად გადასცემს სახელმწიფო დახმარებას მოსახლეობას, ხუმრობს კიდეც და დადებითად განაწყობს როგორც იქ შეკრებილთ, ასევე მაყურებელს. ჟურნალისტის შესავალი სიტყვაც დადებითია და წარმოდგენილი რესპონდენტებიც ამყარებენ ამ შთაბეჭდილებას.

მეორეს მხრივ, რეალ ტვ-ზე დიდი დრო ეთმობა ბიძინა ივანიშვილისა და კოალიცია ქართული ოცნების გაშუქებას და საერთო შთაბეჭდილება მკვეთრად უარყოფითი რჩება. ადგილი აქვს მონტაჟს, კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს, ოპოზიციის წარმომადგენლების ირონიული და ცინიკური ეპითეტებით მოხსენიებას, ხშირად ჟურნალისტის მხრიდანაც.

მაგალითად, 20 აგვისტოს სიუჟეტი „ჯავახკი „ოცნებაში“, სადაც მოთხრობილია ბიძინა ივანიშვილის მიერ ისეთი მაჟორიტარებობის კანდიდატების წარდგენა, რომლებიც პრორუსული ორიენტაციით გამოირჩევიან და „სკანდალური“ და „ოდიოზური“ დაჯგუფების წევრებიც კი არიან. სიუჟეტში ნაჩვენებია კადრები არქივიდან. იქმნება უარყოფითი შთაბეჭდილება კოალიცია ქართულ ოცნებასა და ბიძინა ივანიშვილზე.

31 აგვისტოს სიუჟეტში „რენეგატი ალასანია“ გახსენებულია ალასანიას კულინარიელობა, მონაწილეობა სამხედრო ოპერაციებში და მის მიერ დაგეგმილი წარუმატებელი სპეცოპერაციები სხვადასხვა დროს. გამოყენებულია კადრები ანიმაციური ფილმიდან, ასევე კადრები არქივიდან, მათ შორის, რესპონდენტების კომენტარები, რომლებიც ისეა დამონტაჟებული, რომ გაუგებარია, მართლა ალასანიაზე საუბრობენ თუ არა უარყოფითად. სიუჟეტი ასევე ხაზს უსვამს საქართველოში გაჭირვების პერიოდში ალასანიასა და მისი ოჯახის უზრუნველ ცხოვრებას ამერიკაში „ბროდვეიზე“ და მის საბანკო ანგარიშზე არსებულ

თანხებსაც ახსენებს. საერთო ჯამში, სიუჟეტი მკვეთრად უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ირაკლი ალასანიაზე.

ზოგად შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ამძაფრებს ჟურნალისტის ტექსტები, რომლებიც რეალ ტვ-ზე მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში ხშირად იყო არანეიტრალური. მაგალითები:

- ჟურნალისტი: „კადრები, რომლებშიც ნათლად ჩანს, თუ როგორ ამაზრზენად შეჰყავთ ფეხსა და ხელში ნარკოტიკული ნივთიერება ოთახში, რომლის ერთი კედელი მართლმადიდებლური ხატებით არის სავსე, არაფერს ნიშნავს ქართული ოცნებისთვის." (16 აგვისტო, სიუჟეტი „ნარკომანია და ოცნების პოლიტიკა")
- ჟურნალისტი: „ასეთი სამაგალითო წევრები ჰყავთ და რა ქნან, სისხლის სამართლის დამნაშავეები, ნარკომანებისა და ძველი გაზულუქებული ჩინოვნიკების დაცვა და პროტექცია მეოცნებეების ჰობია." (16 აგვისტო, სიუჟეტი „ნარკომანია და ოცნების პოლიტიკა")
- ჟურნალისტი: „ივანიშვილისთვის საქმის კეთებაში შედის პოლიციელის მოსყიდვა, ასეთი საქმეები მილიარდელს მოსწონს." (16 აგვისტო, სიუჟეტი „ნარკომანია და ოცნების პოლიტიკა")
- ჟურნალისტი: „არჩევნებამდე 46 დღეა, 46 საშუალება ქართულმა ოცნებამ „პრიხოდი" იგრძნოს." (16 აგვისტო, სიუჟეტი „ნარკომანია და ოცნების პოლიტიკა")

რაც შეეხება სიუჟეტების ბალანსს წარმოდგენილი რესპონდენტების მიხედვით, ამ პერიოდში სიუჟეტები ხან დაბალანსებულია, ხან არა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაუბალანსებელი სიუჟეტების უმეტესობა განპირობებულია კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლების კომენტარების ნაკლებობით, როდესაც შინაარსიდან გამომდინარე მათი აზრი მნიშვნელოვანია. ასევე აღსანიშნავია, რომ გვხვდება არა მხოლოდ დაუბალანსებელი სიუჟეტები, სადაც სხვადასხვა მხარის კომენტარების ნაკლებობა იგრძნობა, არამედ სიუჟეტები, სადაც რესპონდენტების მიკუთვნების მხრივ ბალანსი არის, მაგრამ არ არის წარმოდგენილი აზრთა მრავალფეროვნება.

რეალ ტვ-ზე გვხვდება შეუსაბამობა ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში ნაჩვენებ კომენტარებსა თუ კადრებს შორის. მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, რეალ ტვ-ზე, ამჯერადაც, ხშირად გვხვდება კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევები, რაც უმეტესად კოალიცია ქართული ოცნების შესახებ უარყოფითი სიუჟეტების მომზადებისთვის გამოიყენება.

დანართი - დიაგრამები

დიაგრამა Time 1



დიაგრამა Time 2



დიაგრამა Time 3



დიაგრამა Time 4



დიაგრამა Time 5



დიაგრამა Time 6



დიაგრამა Time 7



დიაგრამა Speech 1



დიაგრამა Speech 2



დიაგრამა Speech 3



დიაგრამა Speech 4



დიაგრამა Speech 5



დიაგრამა Speech 6



დიაგრამა Speech 7



დიაგრამა Tone 1



დიაგრამა Tone J1

დიაგრამა Tone 2



დიაგრამა Tone J2



დიაგრამა Tone 3



დიაგრამა Tone J3



დიაგრამა Tone 4



დიაგრამა Tone J4

დიაგრამა Tone 5



დიაგრამა Tone J5

დიაგრამა Tone 6



დიაგრამა Tone J6



დიაგრამა Tone 7



დიაგრამა Tone J7